




შენაბამისობის აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„პამტკიცება“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

 კახაბერ კირტავა

25 დეკემბერი 2018 წელი
N 78/36

ეგზ. N1

შუახვევის მუნიციპალიტეტში 2017 წელს
განხორციელებული სახელმწიფო
შესყიდვების შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში

სარჩევი

გამოყენებული შემოკლებები.....	3
შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები.....	4
შესავალი.....	7
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	7
აუდიტორის პასუხისმგებლობა	7
აუდიტის საგანი	8
აუდიტის მასშტაბი	8
აუდიტის კრიტერიუმები	8
აუდიტის მიზანი.....	9
აუდიტის მეთოდოლოგია	9
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	9
აუდიტის მიგნებები.....	10
შესყიდვების დაგეგმვა	10
სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვა.....	13
საგარანტიო ვადები	14
დაუსრულებელი პროექტები.....	16
გარე განათება	18
შესყიდვების შავი სია	20
სატრანსპორტო საშუალების შესყიდვა.....	21
საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურება	22
შიდა აუდიტის საქმიანობა.....	24
წინა აუდიტის დროს გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირება.....	25

გამოყენებული შემოკლებები

მუნიციპალიტეტი – შუახევის მუნიციპალიტეტი

საკრებულო – შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მერია – შუახევის მუნიციპალიტეტის მერია

შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა შუახვევის მუნიციპალიტეტში 2017 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი სახის ნაკლოვანებები:

- შუახვევის მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირების მხრიდან, სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების დროს, მოქმედი რეგულაციების გაუთვალისწინებლობამ გამოიწვია კონკურენციის შეზღუდვა და პრეტენდენტის უკონკურენტო გარემოში გამარჯვება. ზემოაღნიშნული გარემოებები, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, სამუშაოების დასრულების ვადის არაერთხელ, დაუსაბუთებლად გაგრძელების პირობებში, სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების არარაციონალურ ხარჯვასა და სატენდერო პირობების კონკრეტული მიმწოდებლის ინტერესებზე მისადაგების რისკებზე მიუთითებს.
- მუნიციპალიტეტის მიერ, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებებისათვის შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთების გარეშე თანხის გადახდის გამო, არ დგინდება განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების გადახდილ ფასთან შესაბამისობა.
- მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი პირები, ეფექტიანი კონტროლის მექანიზმების არარსებობის გამო, რეგულარულად არ ახორციელებენ შესყიდული სამშენებლო სამუშაოების მონიტორინგს, რის გამოც არ ხორციელდება ნაკლოვანებების დროული გამოვლენა და მათზე სათანადო რეაგირება.
- მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირების მიერ ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაგეგმვის ეტაპზე გადაწყვეტილებების მიღება, რიგ შემთხვევაში, ხორციელდება არასრულყოფილად, მოსახლეობის საჭიროებებისა და მიზანშეწონილობის სათანადო შესწავლის გარეშე. შედეგად, ბიუჯეტიდან იხარჯება მნიშვნელოვანი თანხები, თუმცა მოსახლეობა ვერ იღებს ადეკვატურ სარგებელს.
- მუნიციპალიტეტმა 2017 წელს გარე განათების მომსახურებაზე გადაიხადა ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულებასთან შედარებით მეტი თანხა, რომელიც უნდა დაბრუნდეს ადგილობრივ ბიუჯეტში.
- მუნიციპალიტეტის მიერ, მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, არ განხორციელდა არაკეთილსინდისიერი მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების მოთხოვნით სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოსთვის ინფორმაციის მიწოდება. აღნიშნული შემსყიდველ ორგანიზაციაში შიდა კონტროლის სისტემის არსებით პრობლემებზე მიუთითებს.

- მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, მოქმედი რეგულაციების დაუცველად, მეორადი, მსუბუქი, მაღალი გამავლობის ერთი ერთეული სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო შესყიდვის პროცესში, ზედმეტად გადახდილი თანხა ექვემდებარება ადგილობრივ ბიუჯეტში დაბრუნებას.
- მუნიციპალიტეტის მიერ, საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება განხორციელებულია სათანადო დოკუმენტური დასაბუთების გარეშე.

გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების საპასუხოდ, აუდიტის სამსახურმა გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაცია N1. მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს ისეთი შიდა კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალურ ხარჯვასა და ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას, მათ შორის, ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პროპორციული პირგასამტეხლოს გამოყენებას. ამასთანავე, გამოიკვლიოს სახელმწიფო შესყიდვის დაგეგმვის და შესრულების ეტაპზე არსებული ხარვეზების გამომწვევი მიზეზები და პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია N2. მუნიციპალიტეტის მერიამ, სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვისას, შესრულებული სამუშაოების ღირებულება ანაზღაუროს შესაბამისი ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეულის ფასების ფარგლებში, ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით. ამასთანავე, გაატაროს სათანადო ღონისძიებები შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთების გარეშე მიმწოდებლისთვის ზედმეტად გადახდილი თანხის ადგილობრივ ბიუჯეტში მიმართვის უზრუნველსაყოფად.

რეკომენდაცია N3. მუნიციპალიტეტმა, სათანადო შიდა კონტროლის მექანიზმების შემუშავებით, რეგულარულად განახორციელოს შესყიდული სამშენებლო სამუშაოების მონიტორინგი, რაც უზრუნველყოფს ნაკლოვანებების დროულ გამოვლენას და მათზე ეფექტიან რეაგირებას. ამასთანავე, არაჯეროდან შესრულებული სამუშაოების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტმა გამოიკვლიოს მათ გამომწვევი მიზეზები და გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

რეკომენდაცია N4. მუნიციპალიტეტის მერიამ შესყიდვები დაგეგმოს მოსახლეობის საჭიროებებისა და მიზანშეწონილობის სათანადო შესწავლისა და შესაძლო უარყოფითი შედეგების საფუძვლიანი ანალიზის საფუძველზე. ამასთანავე, გამოიკვლიოს არსებული

ხარვეზების გამომწვევი მიზეზები და პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია N5. მუნიციპალიტეტის მერიამ, გარე განათების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პროცესში, შეიმუშაოს და დანერგოს ქმედითი კონტროლის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების ინსპექტირების ეფექტიანად განხორციელებას, ასევე გამოიკვლიოს ინსპექტირების ჯგუფის წევრთა მიერ მოვალეობათა შესაძლო არაჯეროვანი შესრულების მიზეზები და გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. ამასთანავე, სათანადო სამართლებრივი ღონისძიებების საშუალებით, უზრუნველყოს ზედმეტად გადახდილი თანხების სრულად ბიუჯეტში დაბრუნება.

რეკომენდაცია N6. მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს ისეთი შიდა კონტროლის მექანიზმები, რომელიც შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციულ, არადისკრიმინაციულ მიდგომასა და თანასწორ მოპყრობას უზრუნველყოფს. ამასთანავე, გამოიკვლიოს სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოსთვის სათანადო ინფორმაციის მიუწოდებლობის მიზეზები და პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია N7. მუნიციპალიტეტის მერიამ, სათანადო ღონისძიებებით, უზრუნველყოს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ზედმეტად გადახდილი თანხების ბიუჯეტში დაბრუნება.

რეკომენდაცია N8. მუნიციპალიტეტმა არ დაუშვას საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება, ხარჯის გაწევის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა სრულ შესაბამისობაში იყოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრის საქმიანობის შესახებ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ დადგენილი პრინციპის დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

რეკომენდაცია N9. მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურმა გაამდიეროს მონიტორინგი მერიის სამსახურებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობასა და მათზე გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე. აღნიშნული უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ზრდას.

რეკომენდაცია N10. მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს და წარმოადგინოს სამოქმედო გეგმა დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის, სადაც ასევე ასახული იქნება მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური აუდიტის შედეგად გაცემული შეუსრულებელი რეკომენდაციებიც. ასევე გონივრულ ვადაში წარმოადგინოს ინფორმაცია გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და მიღწეული შედეგების შესახებ.

შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

შუახვევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარად წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4000) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს. სტანდარტი ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ შუახვევის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

აუდიტის საგანია შუახევის მუნიციპალიტეტში 2017 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტმა მოიცვა შუახევის მუნიციპალიტეტში 2017 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები, რომლებმაც შეადგინა ჯამში 9,459,752 ლარი.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;
- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
- „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ (ძალადაკარგულია 14/06/2017 წლიდან);
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის N19 ბრძანება „შავი სიის წარმოების წესის და პირობების დამტკიცების თაობაზე“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 8 თებერვლის N1 ბრძანება „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“;
- შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 დეკემბრის დადგენილება N21 „შუახევის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;

- შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის დადგენილება N20 „შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“.

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზნებია:

- ა) ჩამოყალიბდეს დასკვნა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- აუდიტის ობიექტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი;
- სამართლებრივი რეაგირების ღონისძიებების მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შესწავლა-ანალიზი;
- აღნიშნულ სფეროში არსებული კარგი საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითების შესწავლა;
- ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან და ფოკუსჯგუფებთან;
- მონაცემთა ანალიზი.

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

შუახევის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც ჰყავს ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოები, აქვს საკუთარი ქონება და ბიუჯეტი. მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულია 7 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 9 ადმინისტრაციულ ერთეულს. ადმინისტრაციული ცენტრია დაბა შუახევი.

შუახევის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 13,369,070 ლარი, ხოლო გადასახდელებმა – 13,171,473 ლარი. მუნიციპალიტეტის მიერ, 2017 წელს სულ გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვის 626 ხელშეკრულება. მათ შორის, შესყიდვის ელექტრონული საშუალებით – 187, ხოლო გამარტივებული შესყიდვის საშუალებით – 439 ხელშეკრულება.

ცხრილი N1. ინფორმაცია შუახვევის მუნიციპალიტეტის მიერ 2017 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (ლარი)

შესყიდვის საშუალება	შუახვევის მუნიციპალიტეტი		მათ შორის, შუახვევის მუნიციპალიტეტის მერია	
	რაოდენობა	ღირებულება	რაოდენობა	ღირებულება
შესყიდვის ელექტრონული საშუალება	187	7,689,119	169	7,522,575
გამარტივებული შესყიდვა	439	640,568	124	380,698
ჯამი:	626	8,329,687	293	7,903,273

აუდიტის მიგნებები

შესყიდვების დაგეგმვა

კრიტერიუმი: მოქმედი რეგულაციით,¹ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადაში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სამართლებრივი აქტით შესაძლებელია ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში დადგინდეს 200,000 ლარის ან 200,000 ლარზე მეტი ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით შესყიდვის განხორციელება. ამასთანავე, სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი მიზანია სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა.

გარემოება: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 18 აგვისტოს N141 განკარგულებით, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადაში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, შუახვევის მუნიციპალიტეტის გამგეობას მიეცა თანხმობა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით განახორციელოს შუახვევის მუნიციპალიტეტის სამთო იალაღებზე ელექტროგადამცემი სისტემის მშენებლობის და მასალების შესყიდვა 250,000 ლარის ფარგლებში. აქვე აღსანიშნავია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თანხმობა გაცემულია შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართვიდან² 23 დღის შემდეგ, რა პერიოდიც სრულებით საკმარისი იქნებოდა ელექტრონული ტენდერის ჩასატარებლად. ზემოაღნიშნული ადასტურებს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადაში შეუფერხებლად ჩატარების საფუძვლით თანხმობის მოთხოვნის და გაცემის მიზანშეუწონლობას.

¹ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3¹ და მე-3² პუნქტები; საქართველოს მთავრობის განკარგულება N475, 21/03/2016.

² შუახვევის მუნიციპალიტეტის წერილი N07/12492-16, 25/07/2016.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თანხმობის მიღებიდან 18 დღეში შუახვევის მუნიციპალიტეტმა, მთებში³ ელექტროგადამცემი ხაზების სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე.⁴ სატენდერო დოკუმენტაციით, სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვრა 2017 წლის 1 აგვისტომდე პერიოდი, მათ შორის, 2016 წლის ბოლომდე უნდა შესრულდეს 150,000 ლარის ღირებულების სამუშაოები.

გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერზე შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 363,741 ლარის ოდენობით იმ პირობებში, როდესაც მუნიციპალიტეტზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თანხმობა გაცემული იყო მხოლოდ 250,000 ლარის ფარგლებში. შედეგად, დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტი. ტენდერში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი – შპს „ზურა-2012“, რომელსაც დაზუსტებული ფასების ცხრილში ხარვეზის გამო მიეცა დისკვალიფიკაცია.

მიუხედავად იმისა, რომ ტენდერზე არ შედგა კონკურენცია, რაც უმეტესწილად მთის კლიმატური პირობების გათვალისწინებით, სამუშაოს შესრულების არაგონივრულად მოკლე ვადამ და მოკლევადიანმა ტენდერმა განაპირობა, შემსყიდველმა სატენდერო პირობების შეუცვლელად გამოაცხადა განმეორებითი ტენდერი,⁵ სადაც მონაწილეობდა მხოლოდ იგივე პრეტენდენტი. მის მიერ შეთავაზებული ფასი, როგორც თავდაპირველ ტენდერში, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების იდენტურია. შედეგად, პრეტენდენტთან გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება,⁶ ღირებულებით – 363,741 ლარი. ხელშეკრულებაში არ იყო ასახული სატენდერო დოკუმენტაციის სამუშაოების ტექნიკურ აღწერილობაში მითითებული პირობა, რომ 2016 წლის ბოლომდე უნდა შესრულებულიყო 150,000 ლარის ღირებულების სამუშაოები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით, 2016 წელს მიმწოდებელს სამშენებლო სამუშაოები საერთოდ არ განუხორციელებია, ხოლო მიწოდების ვადის ამოწურვის პერიოდისთვის (2017 წლის 1 აგვისტო) შესრულებული ჰქონდა მხოლოდ მთლიანი სამუშაოების 32.4% (117,830.7 ლარის ღირებულების სამუშაოები). მიუხედავად აღნიშნული გარემოებისა, 2017 წლის 1 აგვისტოს მხარეებს შორის გაფორმდა შეთანხმება,⁷ რომლითაც მიწოდების

³ თაგინურის მთა, მერიაცელის მთა, კატრიანი-ყავრიანი-გრძელგორის მთები და ჩირუხის მთა.

⁴ NAT160001808.

⁵ NAT160002222.

⁶ ხელშეკრულება N277, 19/10/2016.

⁷ შეთანხმება N1, 01/08/2017.

ვადა გაგრძელდა 45 დღით, 2017 წლის 15 სექტემბრამდე. ვადის გაგრძელებას საფუძვლად დაედო უამინდობა და თავიანთისა და მერიაყელის მთების მიმართულებით ხე-ტყის ჭრასთან დაკავშირებით სათანადო ნებართვების არარსებობა. ვადის გაგრძელება დაუსაბუთებელია, რადგან მაღალმთიანი რეგიონის (ზღვის დონიდან 1,800 მეტრზე მაღალი) კლიმატური პირობების გათვალისწინებით, უამინდობა წლის გარკვეულ პერიოდში არ არის უჩვეულო მოვლენა (მიმწოდებელს არ წარმოუდგენია უჩვეულო უამინდობის დამადასტურებელი დოკუმენტი), ხოლო თავიანთისა და მერიაყელის მთების მიმართულებით ხე-ტყის ჭრასთან დაკავშირებით სათანადო ნებართვების არარსებობა ხელს არ უშლიდა სხვა მიმართულებებით სამუშაოების შესრულებას/დასრულებას, თანაც აღნიშნული ნებართვების ასაღებად მუნიციპალიტეტს საკმარისი დროის რესურსი ჰქონდა.

მიუხედავად ვადის გაგრძელებისა, მიმწოდებელმა მაინც ვერ შეძლო თავისი ვალდებულების შესრულება. 2017 წლის 19 სექტემბრის შეთანხმებით,⁸ მიწოდების ვადის გასვლიდან 4 დღის შემდეგ, ამავედ ჩირუხისა და მერიაყელის მთების მიმართულებით ხე-ტყის ჭრასთან დაკავშირებული პრობლემების მოტივით, კვლავ გაგრძელდა მიწოდების ვადა 2017 წლის 20 ოქტომბრამდე. იგივე საფუძვლებით, მიწოდების ვადა კიდევ ერთხელ გაგრძელდა 2018 წლის 31 იანვრის შეთანხმებით,⁹ 2018 წლის 30 ივნისამდე. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული შეთანხმება გაფორმდა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლიდან ერთი თვის შემდეგ, რაც სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია, რადგან ცვლილება შესულია ისეთ ხელშეკრულებაში, რომელიც შესაბამის პერიოდში უკვე შეწყვეტილი იყო.

ხელშეკრულების შესაბამისად, პირგასამტეხლო შეადგენს შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0.02%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. სამუშაოების შესრულების ვადების გაუგრძელებლობის შემთხვევაში, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმწოდებლისთვის დასარიცხი პირგასამტეხლო შეადგენს 7,475.7 ლარს. პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მცირე ოდენობა ამცირებს მიმწოდებლის პასუხისმგებლობას სამუშაოების დროულად შესრულებაზე. კერძოდ, აღნიშნულ პირობებში, 100,000 ლარის ღირებულების სამუშაოს ერთი თვის დაგვიანებით შესრულება გამოიწვევს მიმწოდებლის მხოლოდ 600 ლარით დაჯარიმებას, რაც არაპროპორციულია იმ შედეგებთან, რასაც კონკრეტული პროექტის დაგვიანებით განხორციელება იწვევს.

⁸ შეთანხმება N2, 19/09/2017.

⁹ შეთანხმება N3, 31/01/2018.

ამასთანავე, ვადების დაუსაბუთებელი გაგრძელების გამო, ასევე არ განხორციელდა არაკეთილსინდისიერი მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების მოთხოვნით სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოსთვის ინფორმაციის მიწოდება.

დასკვნა: შუახევის მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირების მხრიდან, მთებში ელექტროგადამცემი ხაზების სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების პროცესში, მოქმედი რეგულაციების გაუთვალისწინებლობამ, კერძოდ, შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელებამ და სამუშაოების დასრულებისთვის არაგონივრულად მოკლე ვადის განსაზღვრამ გამოიწვია კონკურენციის შეზღუდვა და პრეტენდენტის უკონკურენტო გარემოში გამარჯვება. ზემოაღნიშნული გარემოებები, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, სამუშაოების დასრულების ვადის არაერთხელ, დაუსაბუთებლად გაგრძელების პირობებში, სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების არარაციონალურ ხარჯვასა და სატენდერო პირობების კონკრეტული მიმწოდებლის ინტერესებზე მისადაგების რისკებზე მიუთითებს.

რეკომენდაცია N1. შუახევის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს ისეთი შიდა კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალურ ხარჯვასა და ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას, მათ შორის, ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პროპორციული პირგასამტეხლოს გამოყენებას. ამასთანავე, გამოიკვლიოს სახელმწიფო შესყიდვის დაგეგმვის და შესრულების ეტაპზე არსებული ხარვეზების გამომწვევი მიზეზები და პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვა

კრიტერიუმი: საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის – სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვისას, შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეულის ფასების ფარგლებში, ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით.

გარემოება: შუახევის მუნიციპალიტეტის მიერ, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების ფარგლებში, სოფელ ზემოხევში საყრდენი კედლის მოწყობის სამშენებლო სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით,

ხელშეკრულება¹⁰ გაფორმდა ი/მ მურად ქათამაძესთან. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრა 26,202.2 ლარის ოდენობით. განხორციელებული სამუშაოების მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულია იმ პირობებში, როდესაც მიმწოდებლის მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი ინფორმაცია ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ. აუდიტის ჯგუფმა, აუდიტის ობიექტის მეშვეობით, მიმწოდებლისგან მოითხოვა ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ ინფორმაცია. მიმწოდებლის წერილობითი განმარტებით, 26,202.2 ლარიდან დოკუმენტურად დადასტურებულმა მთლიანმა დანახარჯმა შეადგინა 11,306 ლარი, საიდანაც მხოლოდ საწვავი მასალების ხარჯია 4,003.5 ლარი, თუმცა მიმწოდებელმა ვერ წარმოადგინა სათანადო მტკიცებულება, რითაც დადასტურდება საწვავის აღნიშნული მოცულობის მთლიანად სამშენებლო სამუშაოების მიზნებისთვის გამოყენება.

დასკვნა: შუახვევის მუნიციპალიტეტის მიერ, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების ფარგლებში, ანაზღაურებული 26,202.2 ლარიდან უსაფუძვლოდ არის გადახდილი 14,896.2 ლარი, ხოლო 4,003.5 ლარის გადახდა არ არის სათანადოდ დასაბუთებული. შესაბამისად, არ დგინდება განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების გადახდილ ფასთა შესაბამისობა, რაც მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირების მხრიდან საბიუჯეტო რესურსების არამიზნობრივ განკარგვაზე მიუთითებს.

რეკომენდაცია N2. შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიამ, სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვისას, შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება განხორციელოს შესაბამისი ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეულის ფასების ფარგლებში, ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით. ამასთანავე, გაატაროს სათანადო ღონისძიებები შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთების გარეშე მიმწოდებლისთვის გადახდილი არანაკლებ 14,896.2 ლარის ადგილობრივ ბიუჯეტში მიმართვის უზრუნველსაყოფად.

საგარანტიო ვადები

კრიტერიუმი: ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიზანია მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. შესაბამისად, შესრულებული სამშენებლო სამუშაოები უნდა იყოს ხარისხიანი, ხოლო მისგან მიღებული შედეგი დადებითად უნდა აისახებოდეს მომხმარებელზე და გრძელვადიან პერიოდში შესაძლებელი უნდა იყოს მისით სარგებლობა. შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები ითვალისწინებს საგარანტიო ვადაში ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში,

¹⁰ ხელშეკრულება N169, 09/08/2017.

მიმწოდებლის ვალდებულებას, დაზიანება ან/და უხარისხოდ შერულებული სამუშაო გამოსწორის დროულად და საკუთარი ხარჯებით.

გარემოება N1: შუახევის მუნიციპალიტეტის მიერ, ბაგა-ბაღის¹¹ მშენებლობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, ელექტრონული ტენდერის¹² საშუალებით, ხელშეკრულება¹³ გაფორმდა შპს „ლადასთან“. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრა 219,869 ლარის ოდენობით. პროექტი მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა 2017 წლის 12 ოქტომბერს, რაშიც გადაიხადა 219,821.9 ლარი. სატენდერო პირობების თანახმად, შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადად განისაზღვრა, სამუშაოს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, კონსტრუქციულ ნაწილზე – არანაკლებ 30 წელი, ხოლო სხვა დანარჩენ სამუშაოებზე – არანაკლებ 3 წელი. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, აუდიტის ჯგუფმა დაათვალიერა აღნიშნული პროექტი, სადაც გამოვლინდა, რომ შენობის ჭერი და კედლები დაზიანებულია, ხოლო სამხარეულოში გაუმართავია საკანალიზაციო სისტემა. მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირების განმარტებით, მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია აღნიშნული დაზიანებების შესახებ, რაც დამაჯერებელი არ არის. პასუხისმგებელი პირების მხრიდან ხარვეზების შეუმჩნეველობა ადასტურებს, რომ საგარანტიო ვადების კონტროლი რეალურად არ ხორციელდება, რაც მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემის არსებით სისუსტეზე მიუთითებს.

გარემოება N2: შუახევის მუნიციპალიტეტის მიერ, დარჩიძეების ციხესთან¹⁴ მისასვლელი ბილიკის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, ელექტრონული ტენდერის¹⁵ საშუალებით, ხელშეკრულება¹⁶ გაფორმდა შპს „მეგა+“-თან. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრა 39,749.5 ლარის ოდენობით. სატენდერო პირობების თანახმად, შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადად განისაზღვრება 5 (ხუთი) წელი, რომლის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა. პროექტი მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა 2017 წლის 27 ნოემბერს, რაშიც გადაიხადა 39,749.5 ლარი.¹⁷ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, აუდიტის ჯგუფმა დაათვალიერა აღნიშნული პროექტი. გამოვლინდა, რომ კიბის საფეხურები და მოაჯირები არსებითად დაზიანებულია. მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირების განმარტებით, მათ არ

¹¹ სოფელ ხიჭაურის ბაგა-ბაღი.

¹² NAT160003274.

¹³ ხელშეკრულება N320, 29/12/2016.

¹⁴ კულტურის უძრავი ძეგლი.

¹⁵ NAT170008504.

¹⁶ ხელშეკრულება N184, 31/08/2017.

¹⁷ აღნიშნული თანხიდან გამოიქვითა პირგასამტეხლო, 137.8 ლარის ოდენობით.

ჰქონდათ ინფორმაცია აღნიშნული დაზიანებების შესახებ, რაც ბილიკის მდებარეობის გათვალისწინებით, დამაჯერებელი არ არის. ასეთი მასშტაბის ხარვეზების შეუმჩნელობა ადასტურებს, რომ მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირების მიერ საგარანტიო ვადების კონტროლი რეალურად არ ხორციელდება.

სურათი N1. ბაგა-ბაღის შენობის დაზიანებული ჭერი; მისასვლელი ბილიკის დაზიანებული კიბის საფეხურები და მოაჯირები



დასკვნა: შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი პირები, ეფექტიანი კონტროლის მექანიზმების არარსებობის გამო, რეგულარულად არ ახორციელებენ შესყიდული სამშენებლო სამუშაოების მონიტორინგს, რის გამოც არ ხორციელდება ნაკლოვანებების დროული გამოვლენა და მასზე სათანადო რეაგირება.

რეკომენდაცია N3. შუახევის მუნიციპალიტეტმა, სათანადო შიდა კონტროლის მექანიზმების შემუშავებით, რეგულარულად განახორციელოს შესყიდული სამშენებლო სამუშაოების მონიტორინგი, რაც უზრუნველყოფს ნაკლოვანებების დროულ გამოვლენას და მასზე ეფექტიან რეაგირებას. ამასთანავე, არაჯეროვნად შესრულებული სამუშაოების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტმა გამოიკვლიოს მათი გამომწვევი მიზეზები და გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

დაუსრულებელი პროექტები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტმა ინფრასტრუქტურული პროექტები უნდა განახორციელოს მოსახლეობის საჭიროებებისა და მიზანშეწონილობის მაქსიმალური გათვალისწინების საფუძველზე. ამასთანავე, პროექტები უნდა დაიგეგმოს სრულყოფილად, ყველა რისკისა და შესაძლო შედეგის საფუძველიანი ანალიზის საფუძველზე, რადგან განხორციელებული სამუშაოებით შესაძლებელი იყოს უსაფრთხო, დროული და გრძელვადიანი სარგებლობა.

გარემოება: შუახევის მუნიციპალიტეტმა 2017 წელს განახორციელა სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვები:

ცხრილი N2. ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (ლარი).

N	შესყიდვის დასახელება	განცხადების ნომერი	ხელშ. ნომერი და თარიღი	ხელშ. პირველ. ღირებ.	შესყიდვის საბოლოო ღირებ.
1	სოფელ ბარათაულში დაწყებითი სკოლის მშენებლობა	NAT170001703	N69, 03/04/2017	23,691	23,691
2	სოფელ ტომაშეთში სასმელი წყლის მაგისტრალისა და აუზის მოწყობა	NAT170002589	N100, 19/05/2015	32,784	31,829
3	სასმელი წყლის სათავეებში საფილტრი დანადგარების მოწყობის სამუშაოები	NAT170006202	N140, 21/07/2017	198,000	197,612
4	ეკლესიის ტერიტორიის შემოღობვის სამუშაოები	NAT170006260	N154, 28/07/2017	39,932	30,046

აუდიტის ჯგუფმა, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, ადგილზე დაათვალიერა ცხრილში მითითებული პროექტები, სადაც გამოვლინდა, რომ:

➤ სასმელი წყლის სათავეებში საფილტრი დანადგარების მოწყობის სამუშაოების დასრულების მიუხედავად, საფილტრები არ ფუნქციონირებს, რადგან პროექტის არასათანადო დაგეგმვის გამო, შესყიდვისას არ იქნა გათვალისწინებული საფილტრებთან წნევის ჩამხშობი ჭების მოწყობა. შესაბამისად, 197,612 ლარის ოდენობის დანახარჯის მიუხედავად, მუნიციპალიტეტის მოსახლეობა სრულყოფილად ვერ სარგებლობს საფილტრი დანადგარებით;

➤ სოფელ ტომაშეთში სასმელი წყლის მაგისტრალისა და აუზის მოწყობა, სავარაუდოდ, განხორციელდა შესაბამისი სოფლის მოსახლეობის საჭიროებების სათანადო შესწავლის გარეშე. კერძოდ, შესყიდულია 30 მომხმარებელზე გათვლილი სათავე ნაგებობა მაშინ, როდესაც მოსახლეობის მოთხოვნა გაცილებით ნაკლები იყო. აღნიშნულის გამო, პროექტის დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ სათავე ნაგებობით მხოლოდ 6 ოჯახი სარგებლობს;

➤ სოფელ ბარათაულში დაწყებითი სკოლის შენობის მშენებლობის სამუშაოების პროექტში არ იყო გათვალისწინებული შენობასთან მისასვლელი გზის მოწყობა, რაც ურთულესს მომხმარებლებს სკოლის მიმართულებით თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობას;

➤ შესაბამისი ხელშეკრულებით განისაზღვრა ეკლესიის ტერიტორიის შემოღობვის სამუშაოები 360 გრძ. მეტრზე. შესრულების პროცესში აღმოჩნდა, რომ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა 122 გრძ. მეტრით ნაკლები იყო სახელშეკრულებო მოცულობაზე. საბიუჯეტო სახსრების ათვისების მიზნით, განხორციელდა მიწის ისეთი მონაკვეთის

შემოღობვითი სამუშაოები (32 გრძ. მეტრზე),¹⁸ რომელსაც არც შესაბამისი პროექტი ითვალისწინებდა და არც მისი განხორციელების საჭიროება იყო. სამუშაოების ფაქტობრივად დასრულების შემდეგ, განხორციელდა შესრულებული სამუშაოების მოცულობების სახელშეკრულებო პირობებთან მისადაგება და ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულების – 30,045.6 ლარის ანაზღაურება. ზემოაღნიშნული საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიან განკარგვაზე მიუთითებს.

დასკვნა: შუახევის მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირების მიერ გადაწყვეტილებათა მიღება, რიგ შემთხვევაში, ხორციელდება არასრულყოფილად, მოსახლეობის საჭიროებებისა და მიზანშეწონილობის სათანადო შესწავლისა და შესაძლო უარყოფითი შედეგების საფუძვლიანი ანალიზის გარეშე. შედეგად, ბიუჯეტიდან გაწეულია 283,178 ლარის ხარჯი, თუმცა მოსახლეობა ვერ იღებს ადეკვატურ სარგებელს, რაც საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიან განკარგვაზე მიუთითებს.

რეკომენდაცია N4. შუახევის მუნიციპალიტეტის მერიამ, შესყიდვების დაგეგმვა განხორციელოს მოსახლეობის საჭიროებებისა და მიზანშეწონილობის სათანადო შესწავლისა და შესაძლო უარყოფითი შედეგების საფუძვლიანი ანალიზის საფუძველზე. ამასთანავე, გამოიკვლიოს არსებული ხარვეზების გამომწვევი მიზეზები და პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

გარე განათება

კრიტერიუმი: შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელისა და სანათი წერტილების ექსპლუატაციისა და მოვლა-პატრონობის მომსახურების ტექნიკური დოკუმენტაციით, შესყიდვის ობიექტია დაბა შუახევსა და მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე განათების სამონტაჟო სამუშაოები, ასევე არსებული გარე განათების წერტილების მოვლა-შენახვა. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შესაბამისი ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ეტაპობრივად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე. ამასთანავე, მიღება-ჩაბარების აქტს უნდა დაერთოს მიმწოდებლის ანგარიშები გაწეული მომსახურების შესახებ და ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი (ინსპექტირების) ჯგუფის დასკვნა. გარდა აღნიშნულისა, მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს მიწოდებული საქონლის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

¹⁸ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გათვალისწინებით, 32 გრძ. მეტრის შემოღობვის სამუშაოს სრული ღირებულება შეადგენს 3,561.0 ლარს.

გარემოება: შუახევის მუნიციპალიტეტის მიერ, დაბა შუახევისა და მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე განათების სამონტაჟო სამუშაოებისა და არსებული გარე განათების წერტილების მოვლა-შენახვის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის¹⁹ საშუალებით, ხელშეკრულება²⁰ გაფორმდა შპს „ბრენდთან“. ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 64,559 ლარი. სახელშეკრულებო პირობების დაუცველად, ეტაპობრივი მიღება-ჩაბარების აქტები ისეა გაფორმებული, რომ მიმწოდებლის მიერ არ არის წარმოდგენილი საქონლის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ასევე წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტებით, გარე განათების ქსელის და სანათი წერტილების ექსპლუატაციის და მოვლა-პატრონობის მომსახურება გაწეული და შესაბამისად, ანაზღაურებულია 13 თვეში (თვეში 1,000 ლარი დღე-ის გარეშე) მაშინ, როდესაც ხელშეკრულება მოქმედებდა 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე, 12 თვის განმავლობაში. ამასთანავე, ხელშეკრულებით და მიღება-ჩაბარების აქტებით არ დგინდება, თუ რა სახის მომსახურება განახორციელა მიმწოდებელმა განათების ქსელის და სანათი წერტილების ექსპლუატაციის და მოვლა-პატრონობის მომსახურების ფარგლებში, რადგან ქსელის შემოვლა-შემოწმება, გადამწვარი ნათურების შეცვლა, დაზიანებული ბოძების და კრონშტეინების შეღებვა და აღდგენა, სანათების აღდგენა და ა. შ. – ცალკე ანაზღაურებულია.

გარდა აღნიშნულისა, მიღება-ჩაბარების აქტებით მიწოდებული 3,212 ლარის ღირებულების სამუშაოდან 1,333 ლარის ღირებულების სამუშაოზე არ არის წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღსანიშნავია, რომ გაუთვალისწინებელი სამუშაოს ღირებულება ხელშეკრულებით განსაზღვრული იყო არა უმეტეს 1,880 ლარისა. მიღება-ჩაბარების აქტებით შეცვლილია 1,301 ნათურა, აღდგენილია დაზიანებული სანათები, ბოძები და კრონშტეინები და ა. შ., თუმცა არ არსებობს წერილობითი დოკუმენტი, რაც დაადასტურებდა შესრულებულ სამუშაოებს. მით უმეტეს, ხელშეკრულების პირობების შეუსაბამოდ, არ არის წარმოდგენილი მიწოდებული საქონლის შესყიდვის დოკუმენტაცია. აუდიტის ჯგუფის მიერ, აუდიტის ობიექტის მეშვეობით, მიმწოდებელს გაეგზავნა წერილი მიწოდებული საქონლის შესყიდვის დოკუმენტაციის წარმოდგენის მოთხოვნით. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იძლევა ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონლის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას.

¹⁹ NAT160004466.

²⁰ ხელშეკრულება N4, 28/12/2016.

დასკვნა: შუახვევის მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირების მიერ, გარე განათების მომსახურების შესყიდვის არასათანადო მონიტორინგის შედეგად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ზედმეტად გადახდილია მინიმუმ 2,867 ლარი.

რეკომენდაცია N5. შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიამ, გარე განათების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პროცესში, შეიმუშაოს და დანერგოს ქმედითი კონტროლის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების ინსპექტირების ეფექტურად განხორციელებას, ასევე გამოიკვლიოს ინსპექტირების ჯგუფის წევრების მიერ მოვალეობათა შესაძლო არაჯეროვანი შესრულების მიზეზები და გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. ამასთანავე, სათანადო სამართლებრივი ღონისძიებების საშუალებით, უზრუნველყოს ზედმეტად გადახდილი თანხების სრულად ბიუჯეტში დაბრუნება.

შესყიდვების შავი სია

კრიტერიუმი: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის²¹ თანახმად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ელექტრონულად აწარმოებს შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრს – შავ სიას. შავ სიაში აისახება სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე იმ არაკეთილსინდისიერ პირთა, პრეტენდენტთა და მიმწოდებელთა მონაცემები, რომლებსაც შავ სიაში შეტანიდან ერთი წლის განმავლობაში არა აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო შესყიდვებში და დადონ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება. მოქმედი რეგულაციით,²² სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება. ამ შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოს წერილობითი შეტყობინებით.

გარემოება: შუახვევის მუნიციპალიტეტის მიერ, სასმელი წყლის და სანიაღვრე სისტემებისთვის პოლიეთილენის და გოფრირებული მილების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, ელექტრონული ტენდერის²³ საშუალებით, ხელშეკრულება²⁴ გაფორმდა შპს „მარიამთან“. ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 36,804 ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტებით, მიმწოდებელმა, ფინანსური მდგომარეობის გაუარესების გამო,²⁵ ვერ

²¹ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი.

²² სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის N19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესის და პირობები“, მე-3 და მე-4 მუხლები.

²³ NAT170002076.

²⁴ ხელშეკრულება N67, 31/03/2017.

²⁵ შპს „მარიამის“ წერილი N4248/07, 24/07/2017.

შემოთხზული ვალდებულებების სრულად შესრულება (36,804 ლარის ღირებულების საქონლიდან მიწოდებულ იქნა 13,537 ლარის ღირებულების საქონელი), რის გამოც შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 27 ივლისის N06-812 ბრძანებით ხელშეკრულება მოიშალა. აღნიშნული ბრძანებით მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურს დაევალა სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოსთვის ინფორმაციის მიწოდება ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, რაც შესაბამის სამსახურს არ განუხორციელებია. აქვე აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოსთვის ინფორმაციის მიწოდებლობის გამო, შავ სიაში არ შეუყვანიათ შპს „მარიამი“, რითაც ისარგებლა აღნიშნულმა კომპანიამ და კვლავ აგრძელებდა სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობას. მათ შორის, გაიმარჯვა ა(ა)იპ – თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახურის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში,²⁶ სადაც ასევე არ შეასრულა თავისი ვალდებულებები.

დასკვნა: შუახევის მუნიციპალიტეტის მიერ, მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, არ განხორციელდა არაკეთილსინდისიერი მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების მოთხოვნით სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოსთვის ინფორმაციის მიწოდება, რაც შემსყიდველ ორგანიზაციაში შიდა კონტროლის სისტემის არსებით პრობლემებზე მიუთითებს და შესაძლოა განხორციელდა მხარეებს შორის წინასწარი შეთანხმებით, მიმწოდებლისთვის არამართლზომიერი უპირატესობის მინიჭების მიზნით.

რეკომენდაცია N6. შუახევის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს ისეთი შიდა კონტროლის მექანიზმების შემუშავება, რაც შესყიდვების მონაწილეების მიმართ პროპორციულ, არადისკრიმინაციულ მიდგომასა და თანასწორ მოპყრობას უზრუნველყოფს. ამასთანავე, გამოკვლეულ იქნეს სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოსთვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებლობის მიზეზები და პასუხისმგებელი პირების მიმართ გატარებულ იქნეს შესაბამისი ღონისძიებები.

სატრანსპორტო საშუალების შესყიდვა

კრიტერიუმი: საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის თანახმად, ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისგან გათავისუფლებულია მსუბუქი ავტომობილის მიწოდება ან/და იმპორტი.²⁷

²⁶ SPA170011765.

²⁷ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი.

გარემოება: შუახევის მუნიციპალიტეტის მიერ, ა(ა)იპ – შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანებისთვის მეორადი, მსუბუქი, მაღალი გამავლობის ერთი ერთეული სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, ელექტრონული ტენდერის²⁸ საშუალებით, ხელშეკრულება²⁹ გაფორმდა შპს „დომა 3+“-თან. ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 12,700 ლარი დღგ-ის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტს თანახმად, მსუბუქი ავტომობილის მიწოდება ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისგან გათავისუფლებულია, შუახევის მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს გადაუხადა საქონლის ღირებულება დღგ-ის ჩათვლით.³⁰

დასკვნა: შუახევის მუნიციპალიტეტის მერიამ, მოქმედი რეგულაციების დაუცველად, მეორადი მსუბუქი მაღალი გამავლობის ერთი ერთეული სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო შესყიდვის პროცესში, ზედმეტად გადაიხადა 2,286 ლარი, რაც ექვემდებარება ადგილობრივ ბიუჯეტში დაბრუნებას.

რეკომენდაცია N7. შუახევის მუნიციპალიტეტის მერიამ, სათანადო ღონისძიებებით, უზრუნველყოს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ზედმეტად გადახდილი 2,286 ლარის ბიუჯეტში დაბრუნება.

საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურება

კრიტერიუმი: ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 41-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. ანაზღაურებადია მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის საქმიანობა, ხოლო მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი, რომელიც არ არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირი, განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით. შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 სექტემბერის N32 დადგენილებით, საკრებულოს სხდომებში და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, ამომრჩევლებთან შესახვედრად, საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრს, რომელიც არ არის საკრებულოს თანამდებობის

²⁸ NAT170014045.

²⁹ ხელშეკრულება N299, 21/12/2017.

³⁰ საგადახდო დავალება N04222, 26/12/2017 (თანხა 14,986 ლარი).

პირი, ყოველი საანგარიშო თვის 1 რიცხვამდე ეძლევა სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ყოველთვიური ანაზღაურება. გაწეული ხარჯი უნდა დადასტურდეს პირველადი დოკუმენტებით, რომელშიც უნდა აღინიშნოს დასახელება, მისი შედგენის თარიღი, ოპერაციის შინაარსი, ზომის ერთეული (თუ გააჩნია გაზომვის ფიზიკური ერთეული, რომელთანაც შესაძლებელია ფასების დაკავშირება), რაოდენობა, ფასი, თანხა, ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტების სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები, აგრეთვე სხვა მონაცემები, რომლებიც გამომდინარეობს მოვლენის შინაარსიდან და მონაცემების დამუშავების ტექნოლოგიის თავისებურებებიდან.³¹

გარემოება: მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრებს, რომლებიც არ არიან საკრებულოს თანამდებობის პირები, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად, თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, ეძლევათ არა ფიქსირებული გასამრჯელო, არამედ უნაზღაურდებათ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად, თანხის გაცემის საფუძველი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი ნორმების შეუსაბამოდ, 2017 წელს, შუახევის მუნიციპალიტეტის მიერ ჯამში ანაზღაურებულია 55,379 ლარი, თვეში თითოეულ საკრებულოს წევრზე 397.5 ლარი. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი საკრებულოს წევრების მიერ გაწეული ხარჯების დასადასტურებლად. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ საკრებულოს წევრებზე თანხების გაცემა ვერ ჩაითვლება წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურებად, რადგან საფუძვლად არ უდევს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი.

დასკვნა: შუახევის მუნიციპალიტეტის მიერ, 2017 წელს, საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი ნორმების შეუსაბამოდ, საკრებულოს არათანამდებობის პირებზე, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად, გადახდილია ჯამში 55,379 ლარი

რეკომენდაცია N8: შუახევის მუნიციპალიტეტმა არ დაუშვას საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება, ხარჯის გაწევის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების

³¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტი.

განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა სრულ შესაბამისობაში იყოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრის საქმიანობის შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი პრინციპის დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

შიდა აუდიტის საქმიანობა

კრიტერიუმი: შიდა აუდიტის სამსახურის მიზანია დაეხმაროს მუნიციპალიტეტს იმ პოლიტიკებისა და პროცედურების განხორციელებაში, რაც მოწესრიგებული და ეფექტიანი მართვის მიზნით დაადგინა ხელმძღვანელობამ. მათ შორის, აქტივების დასაცავად, თაღლითობისა და შეცდომების აღმოსაჩენად და თავიდან ასაცილებლად, ბუღალტრული აღრიცხვის ჩანაწერების სიზუსტისა და სისრულის უზრუნველსაყოფად, ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად და სხვ. დასახული ამოცანების მისაღწევად, შიდა აუდიტის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ზრდას.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვალდებულია უზრუნველყოს შიდა აუდიტორულ ანგარიშში ასახულ რეკომენდაციებზე შესაბამისი რეაგირება. ის პასუხისმგებელია ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის მონიტორინგსა და შეფასებაზე. მონიტორინგი უზრუნველყოფს შიდა აუდიტორული ანგარიშით გათვალისწინებული რეკომენდაციების დროულ და შესაბამის შესრულებას.

შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის თანახმად,³² დაწესებულებაში შიდა აუდიტის სუბიექტის თანამშრომელთა რაოდენობისა და კვალიფიკაციის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობამ უნდა გაითვალისწინოს დაწესებულების სპეციფიკა, ბიუჯეტი, დაწესებულებაში არსებულ თანამშრომელთა რაოდენობა და ა.შ. ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამის სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, შიდა აუდიტორთა მინიმალური რაოდენობა შიდა აუდიტის სუბიექტში არის 3 თანამშრომელი, ვინაიდან ერთ ან ორკაციანი აუდიტის სუბიექტების არსებობა იწვევენს ინტერესთა კონფლიქტს ხარისხის თვითშეფასებისას.

გამოვლენილი გარემოება: შუახვევის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომელთა საშტატო რაოდენობა განსაზღვრულია 2 საშტატო ერთეულით.

³² საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 დეკემბრის N593 დადგენილება „შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“.

ამასთანავე, 2017 წელს, 4 თვის განმავლობაში სამსახურის უფროსის პოზიცია ვაკანტური იყო. საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის თანახმად, ერთკაციანი აუდიტის სუბიექტის არსებობა იწვევს ინტერესთა კონფლიქტს ხარისხის თვითშეფასებისას.

მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის 2017 წლის სამუშაო გეგმა ითვალისწინებდა 17 აუდიტს, საიდანაც განხორციელდა 8 შიდა აუდიტორული შემოწმება. აუდიტები მოიცავდა როგორც მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურებს, ასევე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტებით გამოვლენილია სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები (მიგნებები), რომელთა გამოსწორების მიზნით, გაცემულია რეკომენდაციები. ამასთანავე, არ ხორციელდება სათანადო მონიტორინგი რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

რეკომენდაცია N9. შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურმა გააძლიეროს მონიტორინგი მერიის სამსახურებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობასა და მათზე გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე. აღნიშნული უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ზრდას.

წინა აუდიტის დროს გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2017 წელს ჩაატარა შუახვევის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური აუდიტი. აუდიტის ანგარიშში აღინიშნა სხვადასხვა ხასიათის დარღვევა-ნაკლოვანებები, რომლებზეც გაცემულ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები. ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშების საკითხებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებზე მუნიციპალიტეტმა განხორციელა შესაბამისი ღონისძიებები. ამასთანავე, სახელმწიფო შესყიდვებში გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებები, ცუდი პრაქტიკის სახით, გრძელდება 2017 წელსაც, კერძოდ:

გზის რეაბილიტაციის სამუშაოებთან დაკავშირებული ხელშეკრულების თანახმად, სამუშაოთა დასრულების ვადად განისაზღვრა 2016 წლის 25 ნოემბერი. მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებებით, სამუშაოთა განახლების ვადად განისაზღვრა 2017 წლის 15 აპრილი, ხოლო ვადაგადაცილებისათვის სანქციების დაკისრება შეწყვეტილ იქნა 2016 წლის 1 დეკემბრიდან. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტისათვის ვადის გაგრძელების ან სანქციების დაკისრების შეწყვეტისათვის

მიმწოდებელს წერილობით არ მიუმართავს, ხოლო მუნიციპალიტეტის მიერ, ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სამუშაოს ვადის დასრულებიდან 35 დღეში.

რეკომენდაცია N10. წინამდებარე ანგარიშში ასახულ, 2017 წელს შუახევის მუნიციპალიტეტში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტის შედეგების გათვალისწინებით გაცემულ რეკომენდაციებთან ერთად, შუახევის მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს და წარმოადგინოს სამოქმედო გეგმა დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის, სადაც ასევე ასახული იქნება მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური აუდიტის შედეგად გაცემული შეუსრულებელი რეკომენდაციებიც. ასევე გონივრულ ვადაში წარმოდგენილ იქნეს ინფორმაცია გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და მიღწეული შედეგების შესახებ.

აუდიტორთა ხელმოწერა:

ხელმოწერა:

ჰენრი სანიკიძე

წამყვანი აუდიტორი

უჩა პაპუკაშვილი

აუდიტორ-ასისტენტი



25 დეკემბერი, 2018 წელი

